



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 340/ი

04 05 2018წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის“ მე-11 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11¹ მუხლი:

„მუხლი 11¹. უფლებამოსილებათა დელეგირება

1. პროფესიული სტანდარტის/საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების, გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია საჯარო განხილვის ჩატარების, დარგობრივი საბჭოს შექმნისა და მის

მიერ საკითხის განხილვის უზრუნველყოფის ნაწილში საკუთარი უფლებამოსილებების დელეგირება განახორციელოს შესაბამის დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების დელეგირება გულისხმობს შესაბამისი დაწესებულების ნდობითა და უფლებამოსილებით აღჭურვასა და ამ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით ცენტრისადმი მის ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რაც გულისხმობს ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების სრულ დაცვას.

3. ცენტრი სახელმძღვანელოდ იყენებს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესით“ გათვალისწინებულ პირობებს და შესაბამისი პრინციპების გათვალისწინების (/ანალოგიის) გზით აყალიბებს ამ მუხლით გათვალისწინებული მემორანდუმის ფარგლებში შესაბამის დათქმებს.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული მემორანდუმის საფუძველზე, შესაბამისი დაწესებულების მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების/შესრულებლობის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია არ მიიღოს მხედველობაში საბჭოს მიერ წარდგენილი რეკომენდაცია და/ან დაავალოს შესაბამის დაწესებულებას შესაბამისი პროცესის ნებისმიერი ეტაპიდან ხელახლა ჩატარების უზრუნველყოფა და/ან შეწყვიტოს დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმი.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში, ცენტრი შესაბამისი პროცესის ჩატარებას უზრუნველყოფს ამ წესით გათვალისწინებული ზოგადი რეგულაციების შესაბამისად.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი



თამარ სანიკიძე